სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/15-006

ქ. ბათუმი 06 იანვარი 2015 წელი

ერთის მხრივ შპს **„სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ასამბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „გზა“** წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ დუმბაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი”), სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე–3 მუხლის, მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ქალაქ ბათუმის ქუჩების თოვლის საფარისგან გაწმენდის მიზნით, შპს „გზა“–ს კუთვნილი ტექნიკის, კერძოდ: 2 ერთეული წინაციცხვიანი დამტვირთავის JCB–ს (სამუშაო საათების რაოდენობა თითოეულზე– არაუმეტეს 50 სთ.) და 1 ერთეული გრეიდერი VOLVO–ს (სამუშაო საათების რაოდენობა – არაუმეტეს 50 სთ.) დაქირავება ოპერატორებთან ერთად.**

კლასიფიკატორი – CPV 45500000 ***(სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება).***

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ა) 1 (ერთი) საათი გრეიდერით მომსახურება შეადგენს **85** (ოთხმოცდხუთი) ლარს დღგ–ს გარეშე, შესაბამისად 50 საათი მომსახურების ღირებულებაა **4250** (ოთხი ათას ორასორმოცდაათი) ლარი დღგ–ს გარეშე. დღგ–ს გათვალისწინებით 1 საათი მომსახურების ღირებულება შეადგენს **100,30** (ასი ლარი, 30 თეთრი) ლარს, შესაბამისად 50 საათი მომსახურების ღირებულებაა **5015** (ხუთი ათას თხუთმეტი) ლარი დღგ–ს ჩათვლით.

ბ) 1 (ერთი) საათი წინაციცხვიანი დამტვირთავით მომსახურება შეადგენს **28,5** (ოცდარვა ლარი, 50 თეთრი) ლარს დღგ–ს გარეშე, შესაბამისად 100 საათი მომსახურების ღირებულებაა **2850** (ორიათას რვაასორმოცდაათი) ლარი დღგ–ს გარეშე. დღგ–ს გათვალისწინებით 1 საათი მომსახურების ღირებულება შეადგენს **33,63** (ოცდაცამეტი ლარი, 63 თეთრი) ლარს, შესაბამისად 100 საათი მომსახურების ღირებულებაა **3363** (სამი ათას სამასსამოცდასამი) ლარი დღგ–ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **8378** (რვა ათას სამასსამოცდათვრამეტი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს დღგ–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკის ქირავნობასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან (არსებობის შემთხვევაში) და მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესრულებული სამუშაო ჩაითვლება მიღებულად, ფაქტიურად ნამუშევარი საათების მიხედვით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ნებისმიერი სახით შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 5 საათის განმავლობაში შემსყიდველს გადასცეს ტექნიკურად გამართული სპეცტექნიკა იმ ვადით რაც საჭირო იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად შესრულებისთვის.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების, მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. გამოყენებული სამართალი

9.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10. ხელშეკრულების ენა

10.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს „სანდასუფთავება“	შპს „გზა“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ბათუმი
ჯავახიშვილის ქუჩა #55	ასათიანის ქუჩა #51, ბ.1
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 245525132
სს „ლიბერთი ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE14LB0610005734020009	ა/ა GE23TB1000000360546701

შპს „სანდასუფთავება“	**შპს „გზა“**
დირექტორი	**დირექტორი**
დავით ასამბაძე	**მალხაზ დუმბაძე**
_____	_____

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/127
06/01/2015

127-25-2-201501061737

შპს „ სანდასუფთავების“ დირექტორს
ბატონ დავით ასამბაძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2015 წლის 05 იანვრის №01 (98/25) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატენდერო პირობებით გათვალისწინებული ტექნიკის დასაქირავებლად (მოსალოდნელი თოვლის გაწმენდითი სამუშაოების შესასრულებლად), განახორციელოთ 7100 (შვიდიათას ასი) ლარის (დღგ-ს გარეშე) სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პატივისცემით,

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

6010, ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010, №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26, fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge